ბრძანება:**№66. 66230898**
თარიღი:**30/03/2023**

მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფის შექმნის და მისი შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი წარმოადგენს კარგი მმართველობის განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობას. ის ხელს უწყობს ინკლუზიურ დემოკრატიას, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციას, თვითმმართველობის ორგანოების ანგარიშვალდებულებების ზრდას, წარმოადგენს მუნიციპალიტეტსა და მოსახლეობას შორის დემოკრატიული დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან საშუალებას.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ბიუჯეტის შედგენის, მისი განხილვის და დამტკიცების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით სასურველია გამოყენებული იქნეს როგორც არსებული, კანონისმიერი მექანიზმები, ასევე დიალოგის და თანამონაწილეობის ახალი, ინოვაციური ფორმები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველის პუნქტის „ა.ე“ , „გ.ა“ , „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. შეიქმნას მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით სილაგაძე, მერის პირველი მოადგილე, ჯგუფის უფროსი;

ბ) ლერი გუმბერიძე, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

გ) კახა მსხვილიძე, ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

დ) მარეხი მშვენიერაძე, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

ე) ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძე, I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი არმ საკითხებში, ჯგუფის წევრი;

ვ) ვაჟა ჩაფიჩაძე, საბიუჯეტო განყოფილების უფროსი, ჯგუფის წევრი;

ზ) ანტონ ქარაბაკი, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ჯგუფის წევრი;

თ) ლელა ფურცელაძე, ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი, ჯგუფის წევრი;

ი) კახა გოგნაძე, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

კ) მინდია კიკნაველიძე, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

ლ) მერაბ ზირაქაძე, მერის მოადგილე, ჯგუფის წევრი;

მ) ნანა კარკაძე, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ნ) ქეთევან კარკაძე, ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ/შ, ჯგუფის წევრი;

2.სამუშაო ჯგუფის ამონაცას წარმოადგენს მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის ღია დიალოგის ხელშეწყობა, საბიუჯეტო პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ზრდა, პრიორიტეტების შერჩევაში მონაწილეობა, საბიუჯეტო პროგრამების და ქვეპროგრამების თაობაზე წინადადებების და მოსაზრებების წარმოდგენა;

3. ბრძანება გაეცნოს პირველ პუნქტში მითითებულ პირებს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართზე: ქ. ბაღდათი, ვაჟა-ფშაველას ქ.N7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

კახა ენუქიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი